MES 7 20 00351449

28/04/2020

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში**2020 წლის 14 აპრილს**.

Topic: VET Quality
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/82081956078?pwd=MnlkNFZVZDBpZG9DMDZsT0lZTGh0dz09

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - მსოფლიო ბანკის პროექტის „მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში“ კონსულტანტი, საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);
გიორგი ხიშტოვანი - ა(ა)იპ პი ემ სი კვლევითი ცენტრის კვლევითი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მარიამ ჩაგელიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამაში „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“, საბჭოს მდივანი;
ნატო ქიტიაშვილი - სს “საქართველოს უძრავი ქონების“ გენერალური დირექტორის მოადგილე;
ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში, ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი;
გიორგი ტრაპაიძე - სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე;
ნოდარ მამინაიშვილი - არაფორმალური განათლების ახალგაზრდული ცენტრი „მზიანი სახლი“.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების კოორდინატორი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტთა კორპუსის მართვის კოორდინატორი;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

იურიდიული პირების წარმომადგენლები:

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

როლანდ კოპალიანი - უნივერსიტეტის რექტორი;
კახა კუპატაძე - უნივერსიტეტის კანცლერი;
თეა კორძაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
სერგო სვანაძე - პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის ხელმძღვანელი.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

ირმა ინაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ოთარ გელაშვილი - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი;
ნათია ბუთხუზი - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
გივი გოლეთიანი - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის მენეჯერი;
თამარ აფციაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული განათლების პროგრამების განყოფილების უფროსი.

სსიპ - კოლეჯი „მერმისი“:

ნონა ღუდუშაური- კოლეჯის დირექტორი;
ნანა ნამგალაძე - კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი.

ა(ა)იპ - კოლეჯი „იკაროსი“:

რუსუდან ჩართოლანი - კოლეჯის დირექტორი;
ლია ვაშაკაშვილი - კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი.

შპს - „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“:

მამუკა ჭყონია - დირექტორი;
ლევან გვარამაძე - დირექტორის მოადგილე;
ზაზა ქამუშაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
ნატალია ბარათელი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ვასილ ბარამიძე - იურისტი.

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:

თამარ ვალიშვილი,
ინგა ბაქრაძე,
ხათუნა მაისაია.

საბჭოს თავმჯდომარე, ნანა ყუფუნია, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს, ცენტრის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ექსპერტთა კორპუსის წარმომადგენლებს და მადლობა გადაუხადა მათ იმისათვის, რომ, მიუხედავად არსებული სიტუაციისა, ონლაინ რეჟიმში განაგრძობენ მუშაობას და თავიანთი პასუხისმგებლობის ფარგლებში ქვეყნისთვის მნიშვნელოვანისაქმის კეთებას.
მას შემდეგ, რაც ქვორუმი შედგა, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დასძინა, რომ სხდომის ოქმის პროექტისთვის მომზადდებოდა სხდომის აუდიო ჩანაწერი, რომელიც განადგურდებოდა ოქმის პროექტის შედგენისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. გარდა ამისა, საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აკრძალულია ფოტო და ვიდეო გადაღება. ცენტრის წარმომადგენელმა ფოტო გადაღების ნებართვა ითხოვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც დამსწრეთა თანხმობა მიიღო.
თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტზე, რომლის თანახმად საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან და გააცნო სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1.შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2.ა(ა)იპკოლეჯი „იკაროსის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს N156 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ კოლეჯი „მერმისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს N157 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 სექტემბრის N16 სხდომაზე სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ განხილული საკითხის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის თაობაზე ინფორმაციის მოსმენა;
5. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 სექტემბრის N16 სხდომაზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ განხილული საკითხის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის თაობაზე ინფორმაციის მოსმენა;

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ დაუყენებიათ.

1. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (შემდგომში დაწესებულება) წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ პროგრამის დამატების მიზნით წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წარუდგინა ექსპერტთა ჯგუფმა, კერძოდ, თამარ ვალიშვილმა (ჯგუფის ხელმძღვანელი), ინგა ბაქრაძემ და ხათუნა მაისაიამ.

როგორც ექსპერტთა ჯგუფმა განმარტა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, მათ 2020 წლის 20, 21 და 22 იანვარს განახორციელეს ვიზიტი შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა მარნეულის სამედიცინო კოლეჯის პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით და სამი დღის განმავლობაში შემოწმდა სრული დოკუმენტაცია, როგორც მატერიალურ და ადამიანურ რესურსთან, ისე პროგრამებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა დაათვალიერეს პრაქტიკის ობიექტები. დაწესებულებას, განაცხადის მიხედვით, განხორციელების უფლების მოსაპოვებლად წარმოდგენილი ჰქონდა ორი საგანმანათლებლო პროგრამა: საექთნო საქმე და ფარმაცია (სააფთიაქო).

როგორც ექსპერტებმა აღნიშნეს, ორივე პროგრამაში დაფიქსირდა ერთი ტექნიკური ხარვეზი. კერძოდ, ორივე პროგრამაში მითითებული იყო ერთი კვალიფიკაცია-მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში და მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში. ორივე ჩარჩო დოკუმენტში ჩანაწერი გულისხმობდა, ასევე ასოცირებულ ხარისხს. დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ ექსპერტებს, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი და ექსპერტების ინფორმაციით, აღნიშნული ხარვეზი გასწორდა ვიზიტის მიმდინარეობისას. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა შეამოწმეს ორივე პროგრამისთვის გათვალისწინებული პრაქტიკის სამი ობიექტი.

ექსპერტებმა დაწესებულებას მისცეს რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც ასახულია დასკვნაში. ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მარნეულში საკმაოდ რთული სიტუაციაა სამედიცინო და ჯანდაცვის სისტემის კუთხით და ძალიან მნიშვნელოვანია მარნეულის ახლადდაფუძნებული კოლეჯის ფუნქციონირება. კოლეჯი დაფუძნებულია მარნეულის საავადმყოფოს მენეჯმენტის, კერძოდ, საავადმყოფოს მთავარი ექიმისა და გუნდის მიერ. ექსპერტებმა განმარტეს, რომ ვიზიტის დროს თვალნათლივ ცხადი გახდა, თუ რამდენად სჭირდება მარნეულს სამედიცინო სფეროში პროფესიონალი კადრები.

რაც შეეხება რეკომენდაციებს, პირველი მათგანი ეხება 1.1 სტანდარტს. სწავლების პრაქტიკული კომპონენტის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ექსპერტებმა დაწესებულებას ურჩიეს პრაქტიკის ბაზების რაოდენობის გაზრდა. მართალია, პროგრამის მიზნებისთვის ამ ეტაპზე საკმარისია პრაქტიკის არსებული პარტნიორი ობიექტები, რომელიც წარმოდგენილია პროგრამაში და მათთან პარტნიორობა ხელშეკრულებებით დასტურდება, თუმცა, სამომავლოდ, მარნეულის კოლეჯის განვითარების მიზნების შესაბამისად, უმჯობესი იქნებოდა პრაქტიკის ობიექტების/ პრაქტიკის ადგილების რაოდენობის გაზრდა.

მეორე რეკომენდაცია შეეხება 2.3 ქვესტანდარტს, კერძოდ, ექსპერტების აზრით, სასურველია, დაწესებულებამ შეავსოს წიგნების ფონდი აღნიშნული ორი პროგრამისთვის საჭირო, თანამედროვე დარგობრივი ლიტერატურით. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ამ ეტაპისთვის სავსებით საკმარისია ის დაწესებულებაში არსებული საბიბლიოთეკო ფონდი.
მესამე რეკომენდაცია გაიცა ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით (3.2. ქვესტანდარტი).პროფესიულ მასწავლებლებთან და პრაქტიკული კომპონენტის განმხორციელებლებთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ სასურველია, მათ ჩაუტარდეთ მეტი განმავითარებელი ტრენინგი, მიუხედავად იმისა, რომ მუდმივად უტარდებათ საინფორმაციო შეხვედრები.
როგორც ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა დასძინა, ზოგადად, მარნეულის კოლეჯმა ერთმნიშვნელოვნად დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა. ნათლად გამოჩნდა, რომ მათ ჩამოყალიბებული აქვთ სამომავლო განვითარების სტრატეგიული გეგმა.
საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და მარნეულის კოლეჯის წარმომადგენლებს და დაინტერესდა პარტნიორ ორგანიზაციებთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციით, რომლის თანახმადაც რეკომენდებულია პარტნიორი ორგანიზაციების რაოდენობის გაზრდა. საბჭოს თავმჯდომარემ ითხოვა დამატებითი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად თანამშრომლობს დაწესებულება სააფთიაქო საქმის მიმართულებით მსხვილ სააფთიაქო კომპანიებთან. როგორც დარგის ექსპერტმა განმარტა, იგივე შეკითხვა ჰქონდათ მათ დაწესებულებასთან, რაზეც პასუხი იყო, რომ, მაგალითად, ავერსი და პსპ, რომლებიც წარმოდგენილი არიან მარნეულში, ამ ეტაპზე არ არიან დაინტერესებულები კოლეჯებთან თანამშრომლობით. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰქონდათ თუ არა დაწესებულების წარმომადგენლებს ჩამოთვლილი ორგანიზაციების ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან საუბარი შესაძლო თანამშრომლობაზე და ხაზი გაუსვა, რომ მისი ინფორმაციით, ეს ორგანიზაციები, როგორც წესი, დაინტერესებულნი არიან მსგავსი პარტნიორობით. დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული ორგანიზაციების მზაობა შეინიშნება, ძირითადად, თბილისში, ხოლო რეგიონებში - ნაკლებად. საექთნო საქმის მიმართულებით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრთან. ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია,რომ მარნეულის კოლეჯიდან დამატებითი ხელშეკრულებები გამოგზავნეს დღეს. ეს არის ორი ხელშეკრულება აფთიაქებთან, მათგან ერთ-ერთი არის სააფთიაქო ქსელი ნეოფარმა. როგორც საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, საბჭოს მანდატი არ ითვალისწინებს, აღნიშნული დოკუმენტაციის მხედველობაში მიღებას, მითუმეტეს, დაწესებულებას პრაქტიკის ობიექტები საკმარისი რაოდენობით აქვთ წარმოდგენილი. გარდა ამისა, საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ ხარვეზი, რომლის შესახებაც ექსპერტებმა აღნიშნეს დასკვნაში, ვიზიტის ფარგლებშივე იყო აღმოფხვრილი.
ცენტრის წარმომადგენელმა, ნანი დალაქიშვილმა განმარტება გააკეთა ტექნიკურ ხარვეზთან დაკავშირებით. როგორც ითქვა, ვიზიტის პერიოდშივე აღმოიფხვრა ეს ხარვეზი, თუმცა ამ ეტაპისთვის უკვე ძალადაკარგულია ამ ხარვეზზე მსჯელობა, რადგან მას შემდეგ, რაც ვიზიტი შედგა, განხორციელდა კვალიფიკაციების ფორმულირების ცვლილება რამდენიმე, მათ შორის, ზემოთაღნიშნული ორი პროგრამის შემთხვევაში. კერძოდ, მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამების განმახორცილებელმა დაწესებულებებმა ცენტრის დახმარებით შუამდგომლობით მიმართეს ავტორიზაციის საბჭოს, რომელმაც უკვე განიხილა ჩარჩო დოკუმენტებში შესატანი ცვლილებები და მიიღო დადებითი გადაწყვეტილება. ამდენად, ჩარჩო დოკუმენტები უკვე შეცვლილია და ამოღებულია ჩანაწერი ასოცირებულ ხარისხთან დაკავშირებით.
საბჭოს ერთ-ერთ წევრს ჰქონდა კითხვა ექსპერტების იმ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც პრაქტიკის ობიექტების რაოდენობის გაზრდას ეხებოდა. კერძოდ, საბჭოს წევრი დაინტერესდა, ეს რეკომენდაცია ეხებოდა მხოლოდ ფარმაციას თუ საექთნო საქმესაც. მისი განმარტებით, თუ საექთნო საქმეს ეხება, არის თუ არა მარნეულში რესურსი იმ საავადმყოფოების გარდა, რომლებთანაც უკვე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება

დაწესებულებას. გარდა ამისა, მან დასვა კითხვა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას განსაზღვრული, თუ როგორ გადაადგილდებიან სტუდენტები მარნეულიდან რუსთავში, დაწესებულების პარტნიორ პრაქტიკის ობიექტამდე.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ რეკომენდაცია ეხებოდა მხოლოდ ფარმაციის პროგრამას. ვიზიტის დროს დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა სამ აფთიაქთან. ექსპერტებმა იმსჯელეს და დაწესებულების მიერ ფარმაციის პროგრამაზე მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა (100) 64-მდე შეამცირეს იმ არგუმენტით, რომ პრაქტიკის ობიექტების რაოდენობა 100 სტუდენტისთვის არასაკმარისი იქნებოდა.
რაც შეეხება საექთნო პროგრამას, მარნეულში არის დიდი მრავალპროფილური საავადმყოფო, რომლის მენეჯმენტის დაარსებულია მარნეულის სამედიცინო კოლეჯი. ისინი აქტიურად არინ ჩართული კოლეჯის საქმიანობაში. გარდა ამისა, მარნეულში ფუნქციონირებს ავერსის კლინიკა. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკის ობიექტები საკმარისად არის. თუმცა, არის პროფესიონალი სამედიცინო პერსონალის სიმცირე, რის საფუძველზეც გადაწყდა ამ პროგრამის განხორციელება. რაც შეეხება რუსთავის ფსიქიკურ ჯანმრთელობის ცენტრთან დადებულ ხელშეკრულებას, ვიზიტის დროს ექსპერტებს აცნობეს, რომ სტუდენტების ტრანსპორტირება მარნეულიდან რუსთავში ორგანიზებული იქნებოდა დაწესებულების მიერ. ამასთან დაკავშირებით ისაუბრა დაწესებულების დირექტორმა, მამუკა ჭყონიამ, რომელიც ამავდროულად, როგორც უკვე აღინიშნა, მარნეულის საავადმყოფოს დირექტორია. მან, პირველ რიგში, პასუხი გასცა პრაქტიკის ობიექტებთან დაკავშირებულ კითხვას. როგორც მან აღნიშნა, მათ საავადმყოფოში იხსნება დიდი განყოფილებები - ქირურგიისა და ორთოპედიის, დაახლოებით 2000 კვადრატულ მეტრზე და ასევე პედიატრიული განყოფილება. ამ კოლეჯის უპირატესობა არის ის ფაქტი, რომ კოლეჯი მდებარეობს სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც არის დიარეზის დიდი განყოფილება, პედიატრიის ორი განყოფილება, თვალის ქირურგია, კარდიოლოგია, ამბულატორია, ლაბორატორია და ა.შ., რაც, პრაქტიკული თვალსაზრისით, ძალიან მოსახერხებელია. დაწესებულების დირექტორმა, მამუკა ჭყონიამ, დამატებით დასძინა, რომ ის, როგორც კოლეჯის დამფუძნებელი და საავადმყოფოს ხელმძღვანელი, დაინტერესებულია კვალიფიციური კადრებით, რომლებიც კვალიფიკაციის მიღების შემდგომ საავადმყოფოში მუშაობას შეუდგებიან. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, აპირებენ, მოიპოვონ სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებაც ისეთი მიმართულებით, როგორიცაა, მაგალითად, ვეტერინარია. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რას ეყრდნობოდა ვეტერინარიის პროგრამის დამატების შესახებ დაწესებულების გადაწყვეტილება. მამუკა ჭყონიამ აღნიშნა, რომ მათ რეგიონში, რამდენიმე რაიონში არ არის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ვეტერინარებს მოამზადებს. მარნეულში ამჟამად მხოლოდ ორი, ასაკოვანი ვეტერინარია, შესაბამისად, ვეტერინარებზე მოთხოვნა დიდია, მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ ამ რაიონში სოფლის მეურნეობა კარგადაა განვითარებული, რაც, ცხადია, დაკავშირებულია მეცხოველეობასთან, ვეტერინარიასთან, შესაბამის სანიტარულ პირობებთან და ა.შ. დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატალია ბარათელმა დაამატა, რომ მათ შეისწავლეს საქართველოში ჩატარებული თითქმის ყველა კვლევა, მათ შორის, რეგიონის განვითრების გეგმა, დიდი მასალა დააგროვეს და აღმოჩნდა, რომ სამედიცინო მიმართულებით, განსაკუთრებით ექთნებზე, დიდი მოთხოვნაა. რაიონში დასაქმებული ექთნების მინიმალური ასაკი არის 50 წელი. ამ კვლევამ უფრო დიდი სტიმული მისცათ ამ პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების პროცესში. დაწესებულებას ვეტერინარიის პროგრამაც მომზადებული აქვს, რაზეც მთელი ქვემო ქართლი ამყარებს იმედს, თუმცა, ჯერ თავი შეიკავეს განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ განაცხადის გაკეთებაზე, რადგან აპირებენ ფართის დამატებას.
გარდა ამისა, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ ექსპერტების რეკომენდაციების მიღებისთანავე დაიწყეს ამ რეკომენდაციების შესრულება. ორი ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტებთან უკვე დამატებულია. ასევე მიმდინარეობს

მოლაპარაკება სხვადასხვა აფთიაქებთანაც. რაც შეეხება პროგრამების განმახორციელებელ პერსონალს, პროფესიულ მასწავლებლებს, დაწესებულება გეგმავს მათთვის არაერთი ტრენინგის ორგანიზებას. გამოყენებული იქნება ყველანაირი რესურსი, მათ შორის, ცენტრის მხრიდან კონსულტაციების მიღება. საბჭოს თავმჯდომარის კითხვაზე, დენტალური მიმართულებითაც თუ დაიმატებდნენ სამომავლოდ რამე პროგრამას, მაგალითად, სტომატოლოგის ასისტენტი ან სტომატოლოგის ტექნიკოსი/დენტალური საქმე, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აპირებენ ინტეგრირებული პროგრამის გაკეთებას, მაგრამ ეს იქნება ვეტერინარიის პროგრამის შემდეგ, რადგან ამ ეტაპზე ვეტერინარია უფრო პრიორიტეტულია რეგიონისთვის. ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა დაამატა, რომ კოლეჯს აქვს ახალი მატერიალური ინფრასტრუქტურა,თანამედროვე ტიპის აუდიტორია, ორი კარგად აღჭურვილი B გარემო და C გარემო ორივე პროგრამისთვის. დარგის ექსპერტმა დააზუსტა, რომ დაწესებულებას, მიუხედავად იმისა, რომ საავადმყოფოს ბაზაზეა, აღნიშნული პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო სრული ინფრასტრუქტურა საავადმყოფოსგან დამოუკიდებლად აქვს. რაც შეეხება ფარმაციის პროფესიულ პროგრამას, ფარმაციისთვის გამოყოფილია 5 აუდიტორია, ასევე, 25 ადგილიანი C გარემო. ცალკეა ქიმიურ-ტექნოლოგიური ლაბორატორია. ექსპერტმა საექთნო საქმესთან დაკავშირებით საბჭოს განუმარტა, რომ პრაქტიკის ობიექტებზე, რომლებიც ექსპერტებმა მოინახულეს, მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლები სიღრმისეულად იყვნენ ინფორმირებული პროგრამის შესახებ და გათვითცნობიერებული ჰქონდათ მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები, მაგალითად, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა, ინსტრუქტორისა და პროფესიული სტუდენტის რეკომენდებული შეფარდება ერთი შვიდთან, შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა და ა.შ. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენად ჰქონდათ ინსტრუქტორებს გაცნობიერებული სწავლის შედეგების შეფასების პროცესი. ამასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხზე ექსტეპერტებმაც ისაუბრეს ინსტრუქტორებთან და დასძინა, რომ ისინი არიან ინფორმირებულები, თუმცა, რეკომენდებულია მეტი ინფორმაციული სახის შეხვედრები.
თავმჯდომარე დაინტერესდა, დამატებითკითხვები ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. რადგან კითხვები არ დასმულა, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 164-ით განსაზღვრის საკითხი.
საბჭოს თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა პროგრამების პარამეტრებზე:
საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო საქმე, მეხუთე დონე - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში, კოდი - 0913. კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის -180, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 210, სწავლების ენა - ქართული, სტუდენტების ზღვრული რაოდენობა-100, განხორციელების ადგილი - ქალაქი მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80.
საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია, მეხუთე დონე - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში, კოდი - 0916. ქართულენოვანი სტუდენტებისათვის -123 კრედიტი, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 153. სწავლების ენა-ქართული. სტუდენტების ზღვრული რაოდენობა - 64, განხორციელების ადგილი- ქალაქი მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80.

კენჭისყრა:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯს (ს/კ: 405337880) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 164-ით. შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (**დანართი 1**).

2. ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს N156 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

წარმდგენი **ნანი დალაქიშვილი**.

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ კოლეჯმა ,,იკაროსი“ ა/წ 27 თებერვალს და დამატებით, 10 მარტს, ცენტრში წარმოადგინა კორესპონდენციები თანდართული დოკუმენტაციით, სადაც ჩანდა დაწესებულების თხოვნა, კულინარიის ხელოვნების პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელების უფლების მიღების შესახებ. ,,იკაროსს“ კულინარიის ხელოვნებაზე განხორციელების უფლება უკვე მოპოვებული ჰქონდა 2019 წლის აგვისტოში, ავტორიზაციის მიღების პერიოდში, ავტორიზაციის საბჭოს N156 გადაწყვეტილებით. აღნიშნული გადაწყვეტილებით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 336-ით. ამჯერად დაწესებულება გეგმავს იგივე კვოტის ფარგლებში განახორციელოს აღნიშნული პროგრამა დუალური მიდგომით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაწესებულება ითხოვს ერთი ჯგუფისთვის დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების უფლებას. ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეისწავლა საკითხი. დოკუმენტაცია სრულად იყო წარმოდგენილი, თუმცა სამსახურმა დამატებით კორესპოდენცია გამოითხოვა და შეისწავლა. რამდენადაც დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების შესახებ რეგულაცია ჯერ კიდევ არ არი, პროგრამა შემუშავებული და წარმოდგენილი იქნა იმ რეკომენდაციების გათვალისწინებით, რაც ცენტრის მიერ იყო გაცემული. გარდა ამისა, დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება, რომელშიც პროგრამის როგორც მოდულური, ისე დუალური მოდგომით განხორციელების საკითხია ასახული და ასევე ხელშეკრულებები სასტუმროებთან: ბილტმორ თბილისი, ჰილტონ თბილისი, თბილისი მერიოტი და ა.შ. ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად დაწესებულებამ წარმოადგინა სწავლის შედეგების განაწილების სქემა. დაწესებულებამ ცენტრს მიაწოდა ასევე დოკუმენტები, სადაც ასახულია პარტნიორ თანაგანმახორციელებელ კომპანიებში არსებული ინფრასტრუქტურის/აღჭურვილობის ჩამონათვალი, რომელიც აუცილებელია სწავლის შედეგების მისაღწევად, ასევე ორი სასწავლო გეგმა აღნიშნული პროგრამის მოდულური და დუალური განხორციელებისთვის. დოკუმენტების შესწავლის შემდეგ გაკეთდა დასკვნა, რომ ,,იკაროსს“ აქვს შესაძლებლობა განახორციელოს ეს პროგრამა დუალური მიდგომითაც. შესაბამისად, ნანი დალაქიშვილმა მიმართა საბჭოს, ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვიტოს N156 გადწყვეტილებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის, კერძოდ, გადაწყვეტილებაში ორივე მიდგომის მითითების, და მთლიანი დამტკიცებული კონტიგენტის ფარგლებში, დუალური მიდგომით განხორციელებისთვის კვოტის გამოყოფის თაობაზე. ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია დაწესებულებისთვის. ზოგადად, პროფესიული განათლების ერთ-ერთ უმნივნელოვანეს და პრიორიტეტულ სფეროში ერთვება დაწესებულება და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ამის თაობაზე დაწესებულების წარმომადგენლების აზრის მოსმენა. საბჭოს თავმჯდომარემ ითხოვა გადაწყვეტილების ნომრის და სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დაზუსტება. ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 476, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზეა

მთლიანად. მხოლოდ კულინარიაზე - 336, აქედან 13 სტუდენტი განისაზღვრება დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების ფარგლებში.
კოლეჯის დირექტორმა რუსუდან ჩართოლანმა საბჭოს განუმარტა, რომ კოლეჯი 10 წელია ახორციელებს მომსახურების მიმართულების პროგრამებს. 2019 წელს დაწესებულებამ მიიღო ავტორიზაცია 6 წლის ვადით და დაიმატა 2 პროგრამა - კულინარიის ხელოვნება და კონდიტერია. დაწესებულებაში სწავლა სამ ცვლაში მიმდინარეობს შაბათ-კვირის ჩათვლით. ამან განაპირობა სტუდენტების ასეთი მაღალი რაოდენობა კულინარიის მიმართულებით. ორი წლის მანძილზე გერმანიის მთავრობის, კერძოდ, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZGmbH) თაოსნობით და კოორდინირებით მიმდინარეობდა მოლაპარაკებები და აქტიური მუშაობა თბილისში არსებული წამყვანი სასტუმროების ჯგუფთან (Tbilisi Hospitality Working Group). აღნიშნული ჯგუფის წევრია ორი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“ და საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“. აღნიშნული ჯგუფი დეტალურად განიხილავდა კულინარიისა და კონდიტერიის პროფესიული პროგრამების დუალური მიდგომით განხორციელების საკითხს. ამ ჯგუფის წევრ ხუთ კომპანიასთან ერთად შემუშავდა სასწავლო გეგმა და გაიწერა, თუ როგორ უნდა განაწილებულიყო სასწავლო შედეგები აღნიშნულ სასწავლო საწარმოებსა/კომპანიებსა და პროფესიულ კოლეჯებს შორის. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ აღნიშნული კომპანიების ინსტრუქტორების უმრავლესობა, რომლებმაც უნდა განახორციელონ ეს პროგრამა თავიანთ კომპანიებში, კოლეჯის „იკაროსი“ კურსდამთავრებულები არიან. მათ ბოლო ათი წლის მანძილზე გაიარეს პროფესიული განვითარების სხვადასხვა საფეხური კულინარიის დარგში. ერთ-ერთი მათგანი, ამჟამად არის, მაგალითად, სასტუმროს „ჰილტონ თბილისი“ ბრენდ შეფი, რომელიც ამავდროულად მუშაობს პედაგოგად კოლეჯში „იკაროსი“ და ასევე დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელებას ჩაუდგება სათავეში. თბილისის მომსახურების სფეროს ზემოთაღნიშნული სამუშაო ჯგუფის არაერთი შეხვედრის შემდეგ, ამ ეტაპზე, ხუთმა დაწესებულებამ გამოთქვა მზადყოფნა კულინარიის პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელებაზე. კოლეჯის დირექტორმა, რუსუდან ჩართოლანმა დაამატა, რომ დარწმუნებულია, რომ მომავალში უფრო გაიზრდება დუალურ პროფესიულ განათლებაში ჩართვის მსურველი კომპანიების რაოდენობა. საბჭოს წევრმა შორენა ჯაფარიძემ იკითხა, წარმოდგენილი ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ცენტრში რეგულაციები პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელების შესახებ. როგორც დაწესებულების, ისე ცენტრის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სრული დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნა ცენტრში.
კოლეჯის დირექტორმა, რუსუდან ჩართოლანმა დააზუსტა ციფრები - 336 მთლიანი, ხოლო 13 - დუალური მიდგომით სწავლების კვოტა.
საბჭოს თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები და დააყენა საკითხი კენჭისყრაზე.

კენჭისყრა

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

ცვლილება განხორციელდეს ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს N156 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 2)**.

3. სსიპ კოლეჯი „მერმისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს N157 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

საკითხი ნანი დალაქიშვილმა წარადგინა საბჭოს წინაშე. მან აღნიშნა, რომ კოლეჯმა ,,მერმისი“ 2020 წლის 20 მარტს ცენტრს მიმართა წერილით (წერილის N311654). წერილში მითითებულია, რომ კოლეჯმა დაასრულა მილევად რეჟიმში შემდეგი მოდულური პროგრამების განხორციელება: თექის ოსტატი - მესამე საფეხური (სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 20 სტუდენტი), ფილამწყობი - მესამე საფეხური (სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა-15 სტუდენტი) და სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი)- მეოთხე საფეხური (სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა-12 სტუდენტი), რომელთა შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტები გაუქმდა 2019 წლის 31 დეკემბრიდან. შესაბამისად, დაწესებულება ითხოვს, რომ აღნიშნული პროგრამების გაუქმების გამო მთლიანი ზღვრული რაოდენობა შემცირდეს 47-ით და განისაზღვროს 1012-ით.
დაწესებულების დირექტორმა ნონა ღუდუშაურმა განმარტა, რომ, როგორც აღინიშნა, სამივე საგნობრივი პროგრამის განხორციელება დასრულდა და რადგან არსებული კანონმდებლობით ამ პროგრამებზე მიღებას ვეღარ განახორციელებენ, საჭიროა ცვლილება ავტორიზაციის საბჭოს **2019 წლის 15 აგვისტოს N157** გადაწყვეტილებაში.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე გაიტანა აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის საკითხი.

კენჭისყრა

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
ცვლილება განხორციელდეს სსიპ - კოლეჯის „მერმისი“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს №157 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 3)**

4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 სექ ტემბრის N16 სხდომაზე სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ განხილული საკითხის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის თაობაზე ინფორმაციის მოსმენა;

5. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 სექ ტემბრის N16 სხდომაზე სსიპ-საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ განხილული საკითხის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის თაობაზე ინფორმაციის მოსმენა;

საკითხის წარმდგენი იყო ნანი დალაქიშვილი, რომელმაც საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე და მეხუთე საკითხებზე. კერძოდ, 2019 წლის 17 სექტემბრის საბჭოს სხდომაზე განხილული იყო ამ ორი უნივერსიტეტისთვის პროფესიული პროგრამების დამატების საკითხი. აღნიშნულ სხდომაზე საბჭომ სთხოვა ცენტრს,

გადაემოწმებინათ შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემოს არსებობა და მათი შესაბამისობა სტანდარტებთან, რადგან სხდომაზე წარმოდგენილი მტკიცებულებები არ იყო საკმარისად დამაჯერებელი. როგორც ნანი დალაქიშვილმა განმარტა, საბჭოს დავალება იყო მონიტორინგის განხორციელება სექტემბრიდან სამი თვის შემდეგ. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ცენტრმა მისწერა ორივე დაწესებულებას და სთხოვა, წარმოედგინათ შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. უნივერსიტეტებმა წარმოადგინეს მტკიცებულებები, კერძოდ, წერილები, ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები და ფოტო- და ვიდეომასალა. შემდეგ უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა აღწერეს განხორციელებული სამუშაოები და საბჭოს წევრებს აჩვენეს კიბემავლის ფუნქციონირების ამსახველი ვიდეოჩანაწერი. როგორც ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, მათ ავტორიზაციის დებულების საფუძველზე თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში შეისწავლეს ვიზიტის გარეშე წარმოდგენილი მასალა და შუამდგომლობენ საბჭოსთან, რომ საბჭომ განიხილოს აღნიშნული, როგორც გამოსწორებული საკითხი. ცენტრის წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ საბჭო, საკუთარი მანდატის ფარგლებში უფლებამოსილია, ცნობად მიიღოს აღნიშნული საკითხი და დაამატა, რომ ადმინისტრაციული საქმის წარმოების ფარგლებში, ვიზიტის დროს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კიბემავალი არ არსებობდა, რაც შესაბამისად აისახა კიდეც ექსპერტთა დასკვნაში. ცენტრისთვის ინფორმაციის წარმოდგენის პერიოდისთვის კი კიბემავალი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უკვე ფუნქციონირებდა, რაც დასტურდება შესაბამისი ვიდეომასალით. იყო. რაც შეეხება ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, იქ დამონტაჟდა ახალი ლიფტი. როგორც უკვე აღინიშნა, ორივე ინსტიტუციამ საბჭოს წარუდგინა შესაბამისი ფოტო- და ვიდეომასალა.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, როლანდ კოპალიანმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, რომლებმაც ყურადღებით შეისწავლეს საკითხები. იყო გარკვეული შენიშვნები, რეკომენდაციები ექსპერტების მხრიდან, რომლებიც, ძირითადად, ადაპტირებული გარემოს შექმნას, სველ წერტილებს, ლიფტს და ა.შ. ეხებოდა. აღნიშნული რეკომენდაციები უნივერსიტეტმა მყისიერად გაითვალისწინა და შეასრულა ორივე მისამართზე - ახალგაზრდობის პროსპექტი N98 და ჭავჭავაძის N28. მონიტორინგი ჩაინიშნა იმ ადმინისტრაციული წარმოებების ფარგლებში, როცა უნივერსიტეტი ითხოვდა 10 საგანმანათლებლო პროგრამის დამატებას, აქედან 1 პროგრამას ეთქვა უარი. ამდენად, საქმე ეხება 9 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით განხორციელებას. გარდა ამისა, როლანდ კოპალიანმა აღნიშნა, რომ ა/წ 1 მარტს, უნივერსიტეტში შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული, პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრი, რომელიც პროფესიული პროგრამების კოორდინაციით იქნება დაკავებული. ახლადშექმნილი ცენტრის ხელმძღვანელია სერგო სვანაძე. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან ცენტრის საქმიანობის წარმატებულად განხორციელებაში ჩართულია უნივერსიტეტის კანცლერი კახა კუპატაძე, ასევე უნივერსიტეტის ხარისხის განვითარების უზრუნველყოფის სამსახური და მისი ხელმძღვანელი თეა კორძაძე.

შემდეგ ისაუბრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ირმა ინაშვილმა. პირველ რიგში, მან დიდი მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და ცენტრს იმ რეკომენდაციებისთვის, რომლებიც პროფესიული პროგრამების წარმატებულ განხორციელებას ნამდვილად ხელს შეუწყობს. რაც შეეხება ანგარიშს, ექსპერტების ყველა რეკომენდაცია ადაპტირებულ გარემოსთან დაკავშირებით შესრულებულია. პროგრამები, რომლებიც წარდგენილიიყო ამ ეტაპზე ავტორიზაციის მისაღებად, ხორციელდებოდა ტექნიკური უნივესიტეტის პირველ კორპუსში, რომელიც ისტორიული ნაგებობაა, მისი არქიტექტურული სპეციფიკიდან გამომდინარე შეუძლებელია წინ შესასვლელზე გაკეთდეს პანდუსი. ამიტომ ტექნიკურმა უნივერსიტეტმა იპოვა გამოსავალი. კერძოდ, პროფესიული სწავლება ამჟამად ხორციელდება იმ აუდიტორიებში, რომლებთან წვდომა შენობის მეორე მხრიდან არის შესაძლებელი. აღნიშნული სართული შენობის წინა მხრიდან მესამე სართულია, მაგრამ უკანა შესასვლელიდან - პირველი სართული, სადაც სულ ორი საფეხურია და რომელზეც უკვე

შესაძლებელია პანდუსის მოწყობა. რაც შეეხება კიბემავალს, ის ტექნიკურ უნივერსიტეტში იწყობა და მისივე დაპატენტებულია. შესაბამისად, კიბემავალზე არ სჭირდებათ მიღება-ჩაბარება. რაც შეეხება სველ წერტილებს, ირმა ინაშვილმა განმარტა, რომ ადაპტირებული სველი წერტილები მოწყობილია, თუმცა დაგეგმილია მათი რაოდენობის გაზრდა, რაც ფაკულტეტის ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია. შემდგომი ნაბიჯები დამოკიდებულია ტენდერზე, რომელიც ახალი ვირუსის, Covid-19-ის პანდემიამ შეაყოვნა. უნივერსიტეტი შესაბამისი შესაძლებლობის არსებობისთანავე, მზად არის, ბოლომდე მიიყვანოს პროცესი.

ნანი დალაქიშვილმა დაამატა, რომ ის იმყოფებოდა ტექნიკურ უნივერსიტეტში ავტორიზაციის დროს, 2018 წელს. პირველ კორპუსში ადაპტირებული გარემოს საკითხი, მაშინაც პრობლემური იყო, თუმცა იმ ეტაპისთვის კიბემავალის დახმარებით, ამ ადაპტირებული გარემოს ჩანაცვლება, სავსებით მისაღები იყო ავტორიზაციის მისაღებად. ექსპერტთა ჯგუფი, მათ შორის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ექსპერტიც იყო ამ ჯგუფში და დარწმუნდა კიბემავალის არსებობასა და მის გამართულ ფუნქციონირებაში. კერძოდ, ეს არის აპარატი, რომელზედაც მაგრდება შშმ ეტლი. აღნიშნული აპარატი ძალიან ნელა, მაგრამ ეფექტურად ადის ნებისმიერ კიბეზე. ბოლო ვიზიტის დროს, როცა უკვე პროგრამების დამატების საკითხი განიხილებოდა, ეს კიბემავალი ადგილზე არ იყო და ამდენად შეიქმნა როგორც ექსპერტებისთვის, ისე საბჭოს წევრებისთვის გაურკვევლობა. ამჯერად ნამდვილად არსებობს კიბემავალი, რაც უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ვიდეო მასალითაც დასტურდება.

საბჭოს ერთ-ერთი წევრი დაინტერესდა, შესაძლებელია თუ არა შშმ პირისთვის დახმარების გარეშე კიბეზე დამოუკიდებლად ასვლა? ირმა ინაშვილმა უპასუხა, რომ დამხმარე საჭიროა, რომ გამოირიცხოს დამხმარე პერსონალის აუცილებლობა, სწორედ ამიტომ გადაიტანეს აუდიტორიები პირველ სართულზე, სადაც გააკეთეს ახალი სველი წერტილებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ყველა არგუმენტი იქნა მოსმენილი, რაც სასწავლებლებმა წარმოადგინეს. მათ შესაძლებლობის ფარგლებში შექმნეს შესაბამისი ადაპტირებული გარემო შშმ პირებისთვის. საბჭოს თავმჯდომარემ დააფიქსირა, რომ საბჭომ ცნობად მიიღო ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ადაპტირებული გარემოს გამოსწორების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები, ასევე, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ადაპტირებული გარემოს გაუმჯობესების ღონისძიებები და ამ ეტაპისთვის არ მიაჩნია მიზანშწონილად მონიტორინგის ჩანიშვნა.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 15:52 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩაგელიშვილი მარიამ

დანართი 1

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტების სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტების სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	საექთნო საქმე (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში 0913	180	210	ქართული	100	ქ. მარნეული 26 მაისის ქ. №80
2	ფარმაცია (სააფთიაქო) (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში 0916	123	153	ქართული	64	ქ. მარნეული 26 მაისის ქ. №80

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

დანართი 2

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	კულინარიის ხელოვნება (1,2)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში 1013	86	101	ქართული	13	ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის გამზ. №4
							323	ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის გამზ. №4
2	კონდიტერია (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში 1013	80	95	ქართული	60	ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის გამზ. №4

(3) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(4) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ბართენდერი (1)	მესამე საფეხური	ბართენდერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112067	61	76	ქართული	80	ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის გამზ. №4

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის

შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

დანართი 3

საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	კულინარიის ხელოვნება (1, 2)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში1013	80	95	ქართული	107	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის №9ა
2	კონდიტერია (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში 1013	80	95	ქართული	32	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის №9ა
3	მხატვრული ქსოვა (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მხატვრულ ქსოვაში 0214	75	90	ქართული	32	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის №9ა
4	გრაფიკული დიზაინის შესრულება (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ციფრულ ხელოვნებაში 0211	90	120	ქართული	40	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის №9ა
5	ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოებაში 0723	96	111	ქართული	28	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის №9ა
6	ელექტროობა (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 0713	52	67	ქართული	40	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის №9ა
7	იატაკისა და ფილის სამუშაოები (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში	82	97	ქართული	32	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის №9ა

			0732					
8	მომინანქრება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მომინანქრებაში 0214	61	76	ქართული	40	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის №9ა
9	საოფისე საქმე (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 0415	59	89	ქართული	80	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის №9ა
10	ბუღალტრული აღრიცხვა (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411	99	129	ქართული	40	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის №9ა
11	სამკერვალო წარმოება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვა ლიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში 0723	99	114	ქართული	100	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის №9ა
12	თექის დამზადება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თექის დამზადებაში 0214	75	90	ქართული	32	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის №9ა
13	თმის მომსახურება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში 1012	57	72	ქართული	80	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის №9ა
14	ხის მხატვრული დამუშავება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში 0214	78	93	ქართული	20	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის №9ა
15	ძრავას შეკეთება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში 0716	57	72	ქართული	40	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის №9ა
16	სავალი ნაწილის შეკეთება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში 0716	58	73	ქართული	20	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის №9ა
17	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის	60	75	ქართული	80	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის №9ა

			მხარდაჭერაში 0612					
18	ვებ ტექნოლოგიები (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებ ტექნოლოგიებში 0612	63	93	ქართული	40	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის №9ა

(5) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(6) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი (1)	მესამე საფეხური	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080360	92	107	ქართული	49	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის №9ა
2	კონდიტერი (1)	მესამე საფეხური	კონდიტერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010462	76	91	ქართული	24	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის №9ა
3	თმის სტილისტი (1)	მესამე საფეხური	თმის სტილისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080385	61	76	ქართული	32	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის №9ა
4	ტუროპერატორი (1)	მეხუთე საფეხური	ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112062	94	124	ქართული	24	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის №9ა

(3) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(4) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).